თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8118171

ნომერი: AR11160339

თარიღი : 10.09.2026

გაცემის თარიღი : 09.10.2026

გაცნობის თარიღი : 12.10.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 27ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნუგზარი კუბლაშვილი პ/ნ 60003001471
- ქუთაისი ნიკეას ქ. 1 N 4 ბ. 1

ორგანიზაცია:
- აშენდი ჯგუფი კოდი: 404950157

ნომენკლატურა :

- მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალადგილიანი ავტოსადგომი და დამხმარე შენობა/ნაგებობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზაზა ბასილაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "აშენდი ჯგუფი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404950157
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნუგზარ კუბლაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60003001471

.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 8113.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 10337.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 7296.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 7296.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 38000.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 34000.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4000.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 19.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 17.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.1

.პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 8113.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 11242.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 8510.6
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 506.6
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 708.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 7296.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 40000.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 36000.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4000.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 19.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 17.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

“დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ტერიტორიულ-სტრუქტურულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 72-ე მუხლის თანახმად, დადგენილების დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრული ტერიტორიები უნდა განვითარდეს ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის ,,გ“ პუნქტის თანახმად კი, ელიავას მიმდებარე ტერიტორია დანართი 1.11-ით განსაზღვრულ არეალზე „A1“ სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია ერთიანი ხედვის ფარგლებში დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „A1“ არეალი გულისხმობს, მიწის ნაკვეთებს, რომლებიც უნდა განვითარდნენ ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმით.

ვინაიდან, ქ. თბილისში, ქუჩა ხოშარაული, N27ა-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.13.05.004.209) მდებარეობს დანართი 1.11-ით განსაზღვრულ „A1“ არეალში (ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია), მისი სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე.

ასევე, აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (ს-1)–ში, რომელიც წარმოადგენს შერეული სამრეწველო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს;

განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
–
კოეფიციენტი
კ-2
–
კოეფიციენტი
კ-3
0,1
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
–
კვ.მ
მინიმალური სიგანე
–
მეტრი
მინიმალური სიღრმე
–
მეტრი

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი

აღნიშნულიდან გამომდინარე,აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობა მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის მშენებლობას არ ითვალისწინებს. ასევე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 2026 წლის 10 სექტემბრის AR11160339 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.